

**სტრანგულის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
2011 წლის 5 ივლის განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა**

• ვენიოსი საბერძნეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №33055/08)

აპლიკანტი იოანის ვენიოსი საბერძნეთის მოქალაქეა, დაიბადა 1963 წელს და ცხოვრობს ათენში (საბერძნეთი). იგი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი, რადგან მისი თანხმობის გარეშე მოათავსეს ფსიქიატრიულ კლინიკაში სამკურნალოდ 2007 წლის დეკემბრიდან 2008 წლის იანვრამდე.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაუკისრა 10,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2,000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

• კარნევიუსი ლატვიის წინააღმდეგ – (განაცხადი №14749/03)

აპლიკანტი ვალენტინს კარნევიუსი, რომელიც ცხოვრობს მუდმივად ლატვიაში, მაგრამ არა აქვს მინიჭებული მოქალაქეობა, დაიბადა 1978 წელს და ამჟამად 21-წლიან სასჯელს იხდის იელგავას ციხეში (ლატვია) დამამდიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისა და ქურდობის გამო. იგი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი, რადგან სასამართლომ არ გადასინჯა მისი პატიმრობის საკითხი მას შემდეგ რაც იგი 2000 წლის მაისში წარსდგა სასამართლოს წინაშე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის IV ნაწილი. რაც შეეხება სამართლებრივ დაკმაყოფილებას, განმცხადებელს ასეთი მოთხოვნა არ დაუყენებია.

• დანი მოლდოვას წინააღმდეგ – (განაცხადი №8999/07)

აპლიკანტი მიპაილ დანი მოლდოვას მოქალაქეა, დაიბადა 1947 წელს და ცხოვრობს ბენდერში (მოლდოვა). იგი იყო კიშინოვის საშუალო სკოლის დირექტორი. 2004 წლის იანვარში მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ქრთამის მოთხოვნისა და აღების გამო მის სკოლაში მოსაწვდის გადმოყვანის სანაცვლოდ. აპლიკანტს მიაჩნია, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული საქმის განხილვა მიმდინარეობდა უკანონოდ. განსაკუთრებით, იგი აღნიშნავდა, რომ პირველ ინსტანციაში მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩანი ბრალდების მხარემ გაასაჩივრა და მოწმეების გარეშე ჩატარდა სააპელაციო განხილვა. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი და მიესაჯა 5 წლით პატიმრობა, ხოლო ჯარიმის სახით დაეკისრა 60,000 მოლადოვური ლეი (დაახლოებით 3,350 ევრო). განმცხადებელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონკენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს დაეკისრა 2,000 უკროს გადახდა არამატერიალური ხარჯების ასანაზღაურებლად, ხოლო 3,000 უკროს გადახდა დანახარჯების დასაფარად.

- **პარიტონოვი მოლდოვას წინააღმდეგ – (განაცხადი №15868/07)**

აპლიკანტი გენადი პარიტონოვი უკრაინის მოქალაქეა და ცხოვრობს კომიშანში (უკრაინა). 2006 წლის მაისში იგი დააპატიმრეს ყალბი პირადობის დამადასტურებელი საბუთების გამო. განმცხადებელი ჩივის, რომ პატიმრობის პერიოდში იგი იმყოფებოდა არაადამიანურ პირობებში, რის გამოც მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონკენციის მე-3 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონკენციის მე-3 მუხლი და სახელმწიფოს დაეკისრა 4,000 უკროს გადახდა არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 1,200 უკროს გადახდა დანახარჯების ასანაზღაურებლად.

- **მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ – (განაცხადი №19808/08)**

აპლიკანტი ფრანცელინა ფონტეს მორეირა ფერეირა პორტუგალიის მოქალაქეა, დაიბადა 1961 წელს და ცხოვრობს მატოსინიოში (პორტუგალია). განმცხადებლის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დაშინებისა და შეურაცხყოფის ბრალდების გამო და შედეგად ოპორტოს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიესაჯა 265 საათის განმავლობაში საზოგადოებრივი შრომა. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონკენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონკენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს დაეკისრა 2,400 უკროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 2,000 უკროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **კზიკი რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №11273/05)**

აპლიკანტი გაბრიელა კზიკი რუმინეთის მოქალაქეა, დაიბადა 1944 წელს და ცხოვრობს ტარგუ-მურეშში (რუმინეთი). კონკენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით იგი ჩივის იმ გარემოებების გამო, რა დროსაც გარდაიცვალა მისი შვილი 2001 წელს სახედრო სამსახურში ყოფნისას და აღნიშნავს, რომ მომხდარის თაობაზე ჩატარებული გამოძიება არაეფექტური იყო. კონკენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით იგი ასევე ჩივის სისხლის სამართლის საქმის განხილვის გაჭიანურებით განხილვაზე და რომ მის მიერ საქმის განხილვებისას დაყენებული კომპენსაციის მოთხოვნა არ იქნა განხილული ადგილობრივი სასამართლების მიერ. კონკენციის მე-13 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებელი ჩივის, რომ მისი შვილის გარდაცვალების თაობაზე ჩატარებული გამოძიება არ იყო ადექვატური და ეფექტური, დაამატა რა ის, რომ არანაირი ქმედითი

სამართლებრივი ზომები არ იყო ხელმისაწვდომი რუმინეთში რაც საშუალებას მისცემდა მას გაესაჩივრებინა სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურება, სადაც მას დაყენებული პქონდა მოთხოვნა კომპენსაციის მიღებაზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-2 მუხლი. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო და მე-13 მუხლი. სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 2,000 უკროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1,500 უკროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **გადამაური და კადირბეჭვის რუსეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №41550/02)**

აპლიკანტები კური გადამაური და მაგომედ კადირბეჭვი რუსეთის მოქალაქეები არიან, დაიბადნენ 1942 და 1975 წლებში და ცხოვრობენ ვოლეჟში (ვოლგოგრადის რეგიონი, რუსეთი). 1999 წლის 15 სექტემბერს, როდესაც აპლიკანტები მიდიოდნენ საავადმყოფოში (ბატონ გადამაურს ძლიერი ტკივილი პქონდა მუცლის არეში), ისინი გააჩერა პოლიციამ და დააპატიმრა. საქმე ეხება კონკრეტულად ბატონი გადამაურის მტკიცებას იმის თობაზე, რომ მიუხედავად მისი დაუინებული მოთხოვნისა სამედიცინო დახმარების აღმოჩნის თაობაზე, იგი 18 სექტემბრამდე არ გადაიყვანეს საავადმყოფოში, ვიდრე არ ჩავარდა უგონო მდგომარეობაში. მას ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია პერიტონიტის გამო, რასაც შემდგომი გართულებები მოჰყვა. განმცხადებელი ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონი გადამაურის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი და სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 30,000 უკროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 120 უკროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **მიპალი სლოვაკეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №22006/07)**

აპლიკანტი კაროლ მიპალი სლოვაკეთის მოქალაქეა, დაიბადა 1954 წელს და ცხოვრობს მალა იდაში (სლოვაკეთი). სასამართლოს მანდატური ბატონი მიპალი ჩიოდა იმის თაობაზე, რომ მას უარი ეთქვა აპელაციის უფლებაზე იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც მიიღეს ზემდგომმა სასამართლოებმა. თავის საჩივრებში აპლიკანტი ითხოვდა მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც აღსრულების პროცედურებს შედეგად მოჰყვა. განმცხადაბელს მიაჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სამართლებრივი დაკმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 4,000 უკროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

- მეტინი თურქეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №26773/05)

აპლიკანტი აბდურაჟმან მეტინი და რემზი მეტინი არიან თურქეთის მოქალაქენი, დაიბადნენ 1951 და 1952 წლებში და ცხოვრობენ დიარბაქირში (თურქეთი). კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით განმცხადებლები ჩივიან თავიანთი შვილის სიკვდილი გარემოებების გამო, რომელიც 2004 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას გარდაიცვალა. ისინი ჩივიან, რომ სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიება არაეფექტური იყო. აღნიშნული სადაო გამოძიების დასკვნით ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას, რასაც უარყოფენ გარდაცვლილის მშობლები და ამტკიცებენ, რომ მათი შვილი მოკლეს.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი სიცოცხლის უფლების ნაწილში, ხოლო არ მიიჩნია აღნიშნული მუხლი დარღვეულად არაეფექტური გამოძიების ნაწილში. სამართლიანი დაქმაყოფილების სახით სახელმწიფოს დაეკისრა 18,000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, ხოლო 1,000 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

გაჭიანურებული საქმეები

- იურევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №18500/10)

საქმე ეხება აპლიკანტის განაცხადს მის წინააღმდეგ აღმრული სისხლის სამართლის საქმის გაჭიანურებით განხილვის თაობაზე, რომელიც გამოძალვასა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას ეხებოდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- როზიცა გეორგიევა ბულგარეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №32455/05)

აღნიშნულ სამოქალაქო საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და მე-13 მუხლი.

- კოჯორუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №27269/07, 48668/07 და 20729/09)
- გლასბერგი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №29292/02, 32538/05, 24265/07 და 21985/08)
- გელცესკუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ – (განაცხადი №29190/04, 25966/05, 1781/07, 16270/07, 20277/07 და 57610/08)

სასამართლომ სამივე სამოქალაქო საქმეზე დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.